ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 62

ქ. ბათუმი 14 ივნისი 2012 წელი

ერთი მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი აპარატის უფროსის ომარ მეგრელიძის სახით და მეორე მხრივ შპს ,,დელტა სისტემსი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი პაატა ქიქოძის სახით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 31 მაისის N84 განკარგულების საფუძველზე და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” (შემდგომში- ,,ხელშეკრულება”) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაცია, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. “შემსყიდველი” – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. ,,მიმწოდებელი”- პირი რომელიც ახორციელებს სამუშაოს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. ,,დღე”, ,,კვირა”, ,,თვე” – სამუშაო დღე, კვირა, თვე;

1.6. ,,სამუშაო”- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისათვის ფასიანი კომპლექსური მომსახურების გაწევა, რომელიც შემოიფარგლება შემდეგით :

2.1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ცენტრალურ სერვერზე (IBM SISTEM x 3250 M3)შემდეგი პროგრამული უზრუნველყოფის ერთჯერადი ინსტალაცია:

- ოპერაციული სისტემა Linux Centos,
- მონაცემთა ბაზის სერვერი- Oracle 11.2,

- სერვისები- Jboss 4.2.3, Tomcat 7.0,
- დოკუმენტბრუნვის სისტემა - E-Flow 2.1428

2.2. დოკუმენტბრუნვის სისტემის ინსტალაციიდან 20 სამუშაო დღის მანძილზე შემსყიდველის სპეციალისტებისთვის კონსულტაციების ორგანიზაცია ელექტრონული კომუნიკაციების დახმარებით -სატელეფონო "ცხელი ხაზის" და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 19:00 საათამდე სისტემის მონაცემთა ბაზის, აპლიკაციის სერვერისა და ოპერაციული სისტემის ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით, რაც არ მოიცავს დოკუმენტბრუნვის სისტემის ფუნქციური ხასიათის ხარვეზების მხარდაჭერა- გასწორებას.

3. . ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 5000 (ხუთი ათას) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებსა და გადასახდელებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და პირობები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში-ლარში.

4.2. შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებლის მიერ წარმოებული სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი პირი - ინფორმაციულ-ტექნოლოგიური განყოფილების უფროსი კახაბერ მექვაბიშვილი.

5.2. შემსყიდველის უფლებამოსილი პირის მიერ სამუშაოების შესრულების მიმდინარეობისას ხარვეზის ან ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი ადგენს შესაბამის წერილობით აქტს, რომლის საფუძველზეც, შემსყიდველი წერილობით აძლევს გონივრულ ვადას მიმწოდებელს აქტში მითითებული დარღვევევის აღმოფხვრისათვის. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი დადგენილ ვადაში ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი დარღვევების აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

5.3. ხელშეკრულების საგნის მიღება ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შემსყიდველის მხრიდან სამუშაოების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.

6. სამუშაოების შესრულების ვადა

6.1. სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 40 სამუშაო დღე.

6.2. მომსახურების გაწევა მოხდება ეტაპობრივად, შემდეგი თანმიმდევრობით:

- ოპერაციული სისტემის ინსტალაცია - 2 სამუშაო დღე
- მონაცემთა ბაზის სერვერისა და სერვისების ინსტალაცია – 3 სამუშაო დღე
- დოკუმენტბრუნვის სისტემის ინსტალაცია – 10 სამუშაო დღე ოპერაციული სისტემის ინსტალაციიდან
- ტექნიკური მხარდაჭერა დოკუმენტბრუნვის სისტემის ინსტალაციიდან 20 სამუშაო დღე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს სამუშაოების მიმდინარეობის შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად;

7.2.2. უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების მიღება ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

7.2.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების გათვალისწინებით.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.3.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

7.3.2. შეასრულოს ხელშეკრულების პირობები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში;

7.3.3. ხელშეკრულების შესრულების და ნასყიდობის საგნის შემსყიდველზე გადაცემის შემდგომ ნასყიდობის საგნის გაფუჭების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, რაც გამორიცხავს მიმწოდებლის პასუხისმგებლობას.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

8.2. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების

შესრულებისაგან.

8.4. მხარე უფლებამოსილია, ხელშეკრულების შესაბამისად მეორე მხარისათვის გადასახდელი თანხიდან გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლის შესაბამისად მეორე მხარეზე დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა. მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების შესაბამისად მეორე მხარისათვის დარიცხვისა და გადასახდელი თანხიდან პირგასამტეხლოს გამოქვითვის თაობაზე, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

8.5. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 % (ათ პროცენტს), შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტამდე გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.6. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 % (ათ პროცენტს), მიმწოდებელი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების შეწყვეტამდე გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან .

9.2. ხელშეკრულება მოქმედებს ხელისმოწერიდან 40 სამუშაო დღის მანძილზე.

9.3. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვეტოს ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13. . მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

მთავრობის აპარატი

საიდ.კოდი: 245424090

მისამართი:კ. გამსახურდიაქუჩა N9

ბათუმი, საქართველო

მიმწოდებელი:

შპს "დელტასისტემსი"

საიდ.კოდი: 205256131

მისამართი : ვაჟა-ფშაველასგამზ. №95, IV

კვარტალი, 26 კორპუსი, თბილისი,

საქართველო

ბანკი:
"საქართველოსბანკის"ცენტრალურიფილიალი

ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ა:GE96BG0000000879458700

თანამდებობა: აპარატის უფროსი,

ომარ მეგრელიძე

თანამდებობა: გენერალურიდირექტორი,

ზაურა ქიქოძე